№ 160. 1 აგვისტო, შაბათი. 1866—1881 1 აგვისტო, შაბათი. № 160.

რედაქცია

გალაკანის პრაბსპექტზეთ. იგ. შუბრანსკის სახლებში ალბანოვის ქვეშით.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაზე“ „ეკვრაზე“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაზე“ „ეკვრაზე“ აგენტთან ი. ჭელიაშვილთან ხალაზე. კარგეშ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

დროებაზ' და „ეკვრაზ“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროებაზ“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ეკვრაზ“ . . . . . 7 მ. . . 4 მ. . 2 მ.

დროება

გამოდის უოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ხაზებით ხაზზე 1 კაპ. ... ...

დილი კორრესპონდენცია ახალ-სენაკიდამ, რომელშიაც ავტორი იწერება: „სენაკელები, თუმცა თავის ქალაქის დამტკიცებას ელიან, მაგრამ ხალხი და ვაჭრობა კი ნაკლებია,— ერთის წლის განმავლობაში ძლივს სალდება რუსეთიდგან მოტანილი საქონელი, ახალ-სენაკი ტალახიანი და ტბა ადგილი არის, შოსსე, რომ ორმოც ჯერ ქვით მოყარო აქ, თავს არ იჭერს და ქვესკნელში მიდის და სხვა და სხვა...“ როდესაც ეს საჩივარი წავიკითხე, მაშინ მომაგონდა ის ბერძნის ფილოსოფოსი, რომელიც რამდენიმე ათას კაცში დღითი ანთებული ფარნით დადიოდა და ამბობდა, კაცს ვეძებო! ვინც თავდაპირველათ იფიქრა ახალ-სენაკის უეზდის ქალაქათ დაარსება, ისიც ფილოსოფოსი ყოფილა და იმასაც დღითი ანთებული ფარნით უვლია და იმაზე უარესი ადგილი ველარ უპოვნია. კორრესპონდენტი ამბობს, რომ ვაჭრობა არ არისო. აბა თქვენ წარმოიდგინეთ, საიდგან იქნება ვაჭრობა? ახალ-სენაკიდგან აღმოსავლეთით მდებარებს მდინარე წყალი სახელდობ ტეხური (სამ ვერსზედ სენაკიდგან) და წყალს გაღმა მცხოვრებლები გაღმა ვერ გამოდიან სავაჭროთ; ისინი მიდიან სუჯუნაში და აბაშაში; სამხრეთით მცხოვრებნი ძველ-სენაკშიდ დაიარებიან და ჩრდილოეთით ჭაობისა და ტყის მეტი არ არის რა. სენაკი უკაცოთ და უსოფლო რჩება. საკვირველია ღმერთმა იცოდეს, ვინც იქ ქალაქის დაარსება იფიქრა, გზით მაინც ვერ გამოიარა აბაშის სტანციის ახლო-მახლო? ვერ დაინახა ეს მშვენიერი გაშლილი მშრალი და ყოველივე საქები ადგილი? არც ჭაობა არის აქ და გარშემოთ ძლიერ სქელი სოფლები არის; წყალი არ არის საკმაო, მაგრამ წყლის გამოყვანა ადვილი იქნებოდა...

აბაშაში ეხლა კარგი გაჩაღებული ვაჭრობა არის: აქ ორმოციოდე დუქნებია და ვაჭრობა ნიადაგ მატულობს, მაშინ როდესაც ოთხის წლის წინათ ოთხი დუქანიც არ ყოფილა...

წერილები რედაქტორთან.

—

ქვემოთ ვბეჭდავთ წერილს, რომელიც არღვევს ამას წინეთ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილს ცნობას კულაშის ნორმალური სკოლის შესახებ. როცა ის შენიშვნა დაიბეჭდა, იმ დროებაში საქმე იგრე იყო, როგორც ჩვენ მკითხველებს ვაცნობეთ. შემდეგ მას სხვა მიმართულება მიუღია. ჩვენ გვიხაროდა, რომ პარტიებთ შორის სიმშვიდე და კმაყოფილება მოხდა. გვეგონა ძმობა და ერთობა აჯობებდა განხეთქილებას და უთანხმოებას. მაგრამ კულაშს სხვა გვარად ფიქრობენ თურმე. ყოველი კაცი თავის გრძნობის და სურვილის უფალია.

ბატონო რედაქტორო!

„დროების“ მე-152 ნომერში სწერია შესახებ კულაშის ნორმალურის სკოლის ადგილის ამორჩევისა უკანასკნელი გადაწყვეტილება ბ-ნ ღუბერნატორისა, რომელსაც ამ საქმისათვის გაუგზავნია სოფ. კულაშში ქუთაისის უეზდის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ალშიბაია; ამ უკანასკნელს მოპირ-და-პირე პარტიები დაუმშვიდებიაო, საშვალი ადგილი ამოურჩევია სკოლისათვისო, რომელზედაც იყო ბრძოლა და განხეთქილება და საქმე ყოველივე რიგიანად შეუსრულებიაო. ბოლოში უცხადებს მადლობას ბ.ბ. ალშიბაიას და ქ. ლორთქიფანიძეს.

მართალია, ბ-ნი ღუბერნატორისაგან გაგზავნილი მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ალშიბაია იყო კულაშში, მაგრამ საქმე ისე არ გაუთავებია, როგორც „დროების“ 152 ნომერში სწერია. ალშიბაიას ჰქონდა მინდობილი ბ-ნ ღუბერნატორისაგან გამოეცხადებია საზოგადოებისათვის, რომ ნორმალური სკოლა დარჩება იქ, საცა ადგილი აქვთ მათ ნაყიდი და შენობა დაწყებული. ამასთან უნდა შეეტყო ისიც თუ რამოდენათ თანაუგრძნობენ მატერიალურის მხრით ამ კეთილ საქმეს ის უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურებისა, რომელთაც სურდათ დარჩენილიყო სკოლა აღნიშნულ ადგილზედ, იმ ადგილზედ, რომელიც როგორც ზევით ვსთქვი, ნაყიდი იყო საზოგადოების ამორჩეულის პირებისაგან, ნაკურთხი სკოლის გახსნის დროს და მოწონებული ადრინდელის დირექტორის ბ-ნ მარსოვისაგან. ამ ადგილის კურთხევის მერმე გავიდა სწორედ ხუთი თვე და კიდევაც გასცეს იჯარით სკოლის აშენება. მეიჯარადრემ დაიწყო შენობა კანდრახტის ძალით, ამოიყვანა ბალავერი გასკვნა სარძიკველი და მაშინ წინაალმდეგ პარტიამ მოინდომა ყველა ამის დარღვევა და შუა ადგილზედ, გაზომით სკოლის გაშენება. ბატონის ღუბერნატორის უკანასკნელი აზრი და ბ-ნ დირექტორისაც ის იყო, რომ დარჩენილიყო სკოლა იქვე, სადაც დაწყებულია და გაეშენებია მსურველებს, როგორც თავადების ისე გლეხების მხრით. თავადებმან გადაწყვიტეს შემოსწირონ სკოლის ასაშენებლად ოთხი ათასი მანეთი და დანარჩენი ორი ათასი მანეთი გაანაწილონ მათის პარტიის გლეხებზედ და ამ ნაირად თვითეულს გლეხს შეახვედრონ იმოდენი, რამოდენიც უნდა შეხვედროდა მათ მაშინ, როდესაც საზოგადოდ ყველანი მიიღებდენ მონაწილეობას სკოლის აშენებაში. (როგორც რიგი იყო განჩინების ძალით).

ამ ნაირად უმრავლესმა ნაწილმა თავად-აზნაურებისამ განათავისუფლა წინაალმდეგი პარტია გადასახადისაგან და გაუადვილა წილის ფულის შემოტანა იმ გლეხებს, რომლებიც მათი თანამგრძნობლები იყვნენ. ამ კეთილ საქმეში. ამისთვის დიდი მადლობის ღირსნი არიან ჩვენი თავადები ისეთის გულ-მხურვალე მონაწილეობისათვის და იმ შრომისათვის, რომელიც მიიღეს მათ. მისთვის, რომ ს. კულაშს არ დაკარგოდა ხელმწიფიდან მინიჭებული სკოლა, და თუ დაირჩენდნენ სკოლას, მაშინ ეხმარათ საშუალება, რომ გლეხებს ერთობ სამძიმოთ არ გახდენოდათ ამ ბედნიერების მინიჭება.

მადლობას ვსწირავთ ეგრეთვე ბ. ალშიბაიასაც მისის ენერგიულის შრომისათვის, რომელიც მიიღო მან აქ მოპირდაპირე პარტიის შეთანხმებისათვის (თუმცა, სამწუხაროდ, უნაყოფოდ ჩაუარა). მაგრამ საქმე მაინც იქამდის მიიყვანა, რომ თუმც წინააღმდეგი პარტია იშოვიდა ადგილს გზა-ტკეცილის პირად, საშუალ ადგილზედ, მიიღებდა იმ ზარალს, რომელიც წასული ჰქონდა საზოგადოებას, როგორც ადგილის ყიდვაზედ, ისე მეიჯარადრესთან ბალავერის ამოყვანაზედ. მაშინ ყველანი თანხმა იყო ამისა.

მაგრამ საქმე გათავდა ისე, როგორც ზევით ვსთქვი. რაც შეეხება ბ. ქ. ლორთქიფანიძის შემწეობას ამ საქმეში, იმის რა მოგახსენო და ვერც განუცხადებთ ჩემის მხრით ამ საქმისათვის მადლობას და აი რისთვის: როდესაც ბ. ალშიბაიამ მოახდინა სრული ყრილობა გლეხებისა სკოლის

— წავალ, ვიმუშავებ, ან მოჯამაგირეთ დავდგები სადმე და თუ ღმერთი ხელს მომიმართავს, წლის დამლევს მამაშენ? მიემართავ. ეხლა კი ტყუილი ცდა იქნება ჩემგან, უარიც რომ არ მითხრას, სხვა არა იყოს-რა, საქორწილო ფულიც არა მაქვს. ჩემო მათი, ჩემო თვალის სინათლე, კანკალით ეუბნებოდა მათას, ვინძლო არ გამითხოვდე და არ დამაქციო.

— ორბოს წმიდა გიორგის მადლი გამიწყრეს ლექსო, თუ მე შენ გილალატო. მაგრამ შენ რომ დროზე არ მოხვიდე, მაშინ რაღა წყალში გადავარდე? პირზე ვილასლა შევხედო?..

— მე სიკვდილის მეტი რა დამიჭერს! პირობას გაძლევ, რომ წლის თავზე, სწორეთ ამ გიორგობის დღეს აქა ვარ და თუ დღევანდელ დღეს აქ არ გამოვცხადდე, მაშინ იცოდე, რომ შენი ლექსო ცოცხალი აღარ არის, და გამომიტირე.

— შწინამც დღე დამლევია! მაგას რას ამბობ, ბიჭო! მაშ წლის თავზე ამ დროს აქ გელი და მაშინ თუნდ ცარიელიც დაბრუნდე, მაინც შენი ვიქნები და, როგორც იყოს, ჯვარი ისე გადავიწეროთ.

ერთი უკანასკნელათ კიდევ გადეეხვივნენ ლექსო და მათა ერთმანეთს და განშორდნენ.

—

მეორე შემოდგომა დადგა. სიმინდის რჩევაა. ფეიქრის კალოზედაც სიმინდს არჩევენ. ფეიქარი თავის შვილებით ჩ-ემათ მუშაობენ. მათა მალმალ მთვარეს შეხედავს და ამოიოხრებს. ეს თავის ლექსოზე ფიქრობს და შარშანდელ სიმინდის რჩევას იგონებს. ამათში ხმას არავინ იღებს და მარტო გამხმარი სიმინდის ფუჩეჩს გაუდის შრიალი. კარგა ღამეა გასული.

— მარინე, დედაკაცო, უთხრა ფეიქარმა ცოლსა. კვირას კოდიდგან ნოზაძიანი მოვლენ გოგოს დასანიშნათ. ვინძლო რიგიანათ დაუხვდე. არაყი ხომ გვაქვს?

— მართლა? უპასუხა გახარებულმა მარინემ. ეგ კარგი ხეთის წყალობაა, ვინ გითხრა? მაშუალი ვინ იყო?

— ვინც იყო, იყო, ეგ შენი საქმე არ არის. მათა კარგათ მორთეთ, ვინ იცის, თვალია, სადედამთილო მოვა, იქნება არ მოეწონოს.

— არ მოეწონოს იმისმა მზემ, თავის ყკიციანი უფროსი რძლები არ ამჯობინოს.

მათამ ამ ლაპარაკზე ყურები ცქვიტა. გულმა საშინლათ კანკალი დაუწყო და აღშფოთებულმა დედას ლაპარაკი გააწყვეტინა.

— ტყვილათ ნუ შესწუხდებით, მე ვერ გავთხოვდები.

— როგორ? ჩაიცინა ფეიქარმა. არა, რომელ გოგოს უთქვამს, გავთხოვდებიო. ფიქრი არ არი, შვილო, ისეთი კოხტა ბიჭია ნოზაძიანთ თედუა, ისეთი მხარ-ბეჭი აქვს, რომ ხიზამბარელს შეეჭიდება. ოჯახი, ხომ რაღა გითხრა, —ნოეს კიდობანია. ისეთი მუხის ჭდეული დარბაზი უდგას, რომ ხენწიფის სასახლე გეგონება.

მათა ფეხზე წამოხტა:

— მე გეუბნებით, რომ ქმარს არ შევირთავ. მე გონგლაძიანთ ლექსოსთან შეფიცული ვარ და რომ მომკლათ, მაინც იმას არ უმტყუნებ.

— როგორ თუ შეფიცული? დაიღრიალა ფეიქარმა და სწვდა ნაწნავებში მათას. მაშ მართალია, რასაც სოფელში თქვენზე ლაპარაკობენ? მაშ შენ მე ოჯახი უნდა შემირცხვინო? აბა წაჰყე ლექსოს, აბა წაჰყე შე..... და რაც ძალა ჰქონდა ისე სცემდა საცოდავ მათას.

—

კვირა დღეს მათა დანიშნეს. ახლა შეუდგნენ მზითვის სამზადისს. გაუკეთეს მათას კარგი ლოგინი, კარგი სკივრი, დიდი ხალიჩა და ფარდაგი, ტაშტი, თუნგი, მაფრაშიც კი უყიდა ფეიქარმა თავის მათას. სხვა-და-სხვა ფერი ტანისამოსი ჩაილაგა მათამ სკივრში. ეს ისე დარბაისლურათ და გულ მოდგინეთ იკერავდა მზითევს, თითქო ლექსო ამის გულიდგან სრულიად გადიკარგა.

გიორგობისთვის ალები ღამის წინა დღეს მეფიანი მოვიდნენ მაყრებით და გადაჩარდახებული ურმით პატარძლის წასაყვანათ. ფეიქარი კარგათ დაუხვდა მოყვრებს. კარგი ტახი დაუკლა. თავიანთი მოტანილი მოსაკითხის ღვინო და ბევრი თავისიც გადააყლაპა მაყრებს. კარგა შუაღამემდინ მაყრული ისმოდა ფეიქრის სახლში. შუა ღამის შემდეგ გადაკრული მაყრები თითო-თითოთ გაიპარნენ ვახშმიდგან. მეფეც ლაზათიანათ მიბრუჟდა და დედა ბოძთან მიწვა.

თაობაზედ, მაშინ თურმე ბატ. ქ. ლორთქიფანიძემ მიმართა გლეხებს სიტყვით, რომ თქვენ როგორც შეგიძლიათ ყოველ წელიწადს შეშის ფული იხადოთ და მასწავლებელსაც აძლიოთ ჯამაგირიო, ეხლა კიდევ სკოლის აშენებასაც მარტო თქვენ კისრულობთ თავზედაო. უკეთესი იქნება რომ შეერთდეთო. შეერთება ყოველთვის უკეთესია ყოველ საქმეში, მაგრამ ამ ნაირის საშვალების ხმარებისათვის, თუმც მადლობის ღირსი არის, მკითხველმა გასინჯოს. ყველამ იცის, რომ ნორმალურ სკოლებზედ, როგორც შეშის, ისე მასწავლებლის ფულიც სახელმწიფო არის და არა საზოგადოების, მაგრამ გლეხები ადვილად დაერწმუნებოდენ ბ. ლორთქიფანიძეს მით უფრო, რომ შარშან საზოგადოებამ შემოსწირა სკოლას ათი საჟენი შეშა და იმათ ჰგონიათ ეხლა ყოველ წელიწადს ვალდებულნი არიან ამ ნაირის შემოწირვისა. ამან, ცოტა არ იყოს, შეარყია ის თავ-გამოდებული გლეხობა, რომელიც მზათ იყო (ზოგიერთი, რასაკვირველია) ხუთ თუმნამდის, ას მანეთამდისაც შამოეტანა ამ ერთ თავად, მაგრამ კიდევ ვმადლობთ ჩვენს თავადებს, რომ ამ ცრუ ჰაზრს მსვლელობა აღარ მისცეს.

ქულაშის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი ა. ნიჟარაძე.

ს. ქულაში, 29 ივლისს.

ბატონო რედაქტორო!

განვლილ მაისის თვეში ქუთაისის სომხის საზოგადოებას ჰქონდათ საერთო სხდომა, რომლის მიზანი იყო ახალი პოპეჩიტლების არჩევა აქაური სომხური სკოლისათვის და განხილვა სკოლის წლიური ანგარიშისა. ეს ანგარიში კრების დროს იყო წაკითხული ორი პოპეჩიტლების თანადაუსწრებლობით და წაკითხვის შემდეგ ვადასწყვიტეს ანგარიში დაწვრილებით გამოცხადებულ-იყო გაზეთებში, ე. ი. დაებეჭდათ გაზეთ „Кавказъ“-ში, სომხურ გაზეთში და აგრეთვე თქვენ პატივცემულ „დროებაში.“ გადის დრო და ჟამი, მაგრამ არც დროებაში, არც რუსულში და არც სომხურში არ დაუბეჭდინებიათ. ახლა ვითხოვ უმორჩილესათ, რომ გვაცნობონ თქვენი გაზეთით მიზეზი ანგარიშის მოუცემლობისა.

ჩვენ სომხის ეკკლესიაშიდაც მოხდა ცვლილება: ბ. ტერდავითამ ისურვა მამაპაპიდგანვე დაწესებული განზანაკი მოშლილიყო და განზანაკის მაგიერ სანთელს ფასი მომატებოდა. ეხლა სამთლები 1 კაპეიკიანი—2 კაპეიკათ და 5 კაპეიკიანი—10 კაპეიკათ იყიდება, მაგრამ ვინ უფრო ისარგებლებს ამითი, მრევლი თუ ეკკლესია, ეს ღმერთა იცის.

ვინმე დამსწრე.

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟიდამ აცნობებენ ერთს ნემეცურ გაზეთს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა, კონსტანსმა, დაურიგა ყველა პრეფექტებს ცირკულიარი, რომელშიაც ის დარიგებას აძლევს ამორჩევების დროს არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ; ამას გარდა, როგორც ამბობს კორრესპონდენტი, ცირკულიარი ავსებულია ეხლანდელი რესპუბლიკური მმართებლობის მრავალი საქებარი სიტყვებითო. ცხადი იყოვო, რომ მთავრობა ამას ჩაიდენდაო, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ეფიქრნა კაცს, ვითომც ამორჩევები თავისუფლად იქნება. ამ ბოლოს დროს პალატაში საქმეების მსვლელობამ ცხადათ დაგვანახა, რომ მთავრობის გავლენიანი პირები ისე უმნიშვნელო არ არიან, როგორც ჰგონიათ სხვებს. არამედ დიდ ამბებს ჩადიან და ამ ჩვეულებისაგან ჯერ კიდევ ვერ დაუხსნიათ მათ თავი. როგორი გავლენა უნდა იქონიონ იმათ ამორჩევების დროს? ამას ადვილათ მიხვდებით, თუ დააკვირდებით, ვის აქვს ხელი მოწერილი ცირკულიარის ქვეშ: კონსტანსი, ფარრი და კაზო, ეს ის პირებია, რომელნიც ყურ-მოჭრილი ყმებია გამბეტასი და ამათგან ამ უკანასკნელის წინაალმდეგობა მოულოდნელია!

— საფრანგეთის მინისტრი—პრეზიდენტი თუნისში რუსტანი ამ მოკლე ხანში გამოვა თუნისიდამ საფრანგეთშიო. იტალიელები ძრიელ უსიამოვნებას აცხადებენ ქ. სფაქსში ყუმბარების სროლზეა. ისინი ამტკიცებენ, რომ სრულებით არ იყო საჭიროვო ქალაქის ევროპის ნაწილში ყუმბარების სროლა და ევროპიელების საკუთრების დალუპვაო. ზღვის ნაპირა ტელეგრაფს დიდი ზიანი მიეცა და საშუალება კი არ არისო იმის შეკეთებისა, რადგანაც ეს ალაგები სავსეა აჯანყებულებითო.

ოსმალეთი. სულთანმა ინახულა საფრანგეთის წარმომადგენელი გრაფი ტრისტონ მონტოლონი, რომელსაც მეგობრულათ ებაასა ერთს საათზე მეტი. სულთანმა გამოუცხადა თავის გულითადი სურვილი საფრანგეთთან მეგობრობისა და სასტიკად გაკიცხა ისინი, ვინც საფრანგეთის საწინააღმდეგოთ სთვლის ოსმალეთის მხრით ტრიპოლისში ჯარების გაგზავნას, რომლის გაგზავნა მხოლოდ გარემოებამ გამოიწვია, იმ ადგილებში წესიერების [illegible] იქ მყოფი სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომების ინტერესების დასაცველად. მაგრამ ამისთანავე პორტამ სასტიკი მიწერილობა გაუგზავნა ადგილობრივ ღუბერნატორს ყოველი ღონის ძიება და საშვალება იხმარა იმათ წინააღმდეგ, ვისაც კი შეამჩნევდა სხვა სახელმწიფოის მშვიდობიანობის დარღვევის განზრახვას. სულთანმა გამოუცხადა აგრეთვე მონტოლონს, რომ ტრიაპოლისში ჯარების გაგზავნა ამ ჟამად შეჩერებულიაო და მწყენის, რომ ვერ ვინახულე საფრანგეთის ელჩი ტისსო მისი აქედამ წასვლის წინეთ. დასასრულ, სულთანმა კიდევ გაუმეორა თავისი მეგობრობა, თავის უძველესს მეგობართან საფრანგეთთან.

ნარევი

ერთ ღარიბ ავათმყოფთან მიიწვიეს ექიმი. წასვლის დროს შეაძლიეს ორი ცალ-ცალი მანეთი. ექიმი ვერ შეიკავებს თავის უსიამოვნებას და მახვილად ჰკითხა.

— ამას თქვენ ჩემ მოსამსახურეს აძლევთ?

არა, ბატონო, ორივეს,—მიუგო ავათმყოფმა.

* *

— ამას წინეთ პეტერბურღში ერთმა ახირებულმა ,,ჩაულაპა‘‘ თავისი ქონება, რადგანაც სიკვდილის პირზე იყო.

აი საქმე როგორ იყო.

როდესაც ექიმმა გამოუცხადა მას, რომ იმედი აღარ არის მის გამობრუნებაში, ამ უკანასკნელმა მოითხოვა ნახევარი გირვანქა თაფლი. მოუტანეს თუ არა, ბალიშს ქვეშიდამ გამოიღო პორტ-

---

ერთი საათის განმავლობაში, მარტო მთვრალი ხალხის ხვრინვალა მოისმოდა ფეიქრის არე-მარეზედ.

მათა ადგა და გარეთ გამოვიდა. გულ-ჩათხრობილი თვალ-ცრემლიანი დაემხო იმ ადგილს, საცა ერთის წლის წინათ, საყვარელ კაცს გამოესალმა და გულ ამოსკვნილი ჩაბღაველა მიწას:

— ლექსო, ჩემო საყვარელო, ლექსო! რათ მიღალატე, ბიჭო? ახლა ვის უნდა წავყვე! ან ჩემ ქმარს რა პირით უნდა შევხედო. ოჰ, ლექსო, ჩემი ცოდვა ვქონდეს, რომ ასე საშინლათ დამწვი... მაგრამ რას ვამბობ! იქნება ცოცხალი აღარა ხარ? ვაი შენ მათას, ვაი შენ მათას!

ამ დროს ცხენის ფეხის ხმა მოისმა. მათა შეჰკრთა და ფეხზე წამოხტა. ორი წამის განმავლობაში მათა და ლექსო მხურვალეთ გადაეხვივნენ ერთმანერთს.

— ამ შუაღამის დროს მე მელოდი განა?—ჰკითხა ლექსომ მათას და უფრო მხურვალეთ მიიკრა გულზედ.

— შენ გელოდი და დროც იყო შენი მოსვლისა! რათ დაიგვიანე? უსაყვედურა მათამ. მაყრები და მეფე სახლში გვყვანან. ხვალ უნდა ჯვარი დაგვეწერა და წავეყვანე. აბა თუ ჩემი შერთვა კიდევ გულში გაქვს, გავიქცეთ! გათენებამდის „პარახოდზე“ ჩავალთ და მერე რაღას გვიპოვიან. ჩემი მზითევი შეკრულია და სათონეში ალაგია. რასაც ერთი ცხენი მოერიოს წავიღოთ და წავიდეთ.

— ძრიელ კარგი ჭკუაა, წავიდეთ.! ძალით შენ თავს ვინ დამანებებს და ეშმაკობით მაინც გიშოვნო. მაგრამ სად წავიდეთ?

— სადა? ღმერთი მოწყალეა, წავიდეთ საცა უნდა იყოს. მშივრები არ დავიხოცებით.

დაასაპალნეს ცხენი და ხელ-ხელ ჩაკიდული მათა და ლექსო სამუდამოთ გამოესალმენ ტკოცას.

—

გათენდა. ზლაზვნით წამოდგნენ მაყრები. მეფემაც ყურები გაიბერტყა. სახლში აირივ-დაირივნენ. სტუმრებს საუზმე მიართვეს.

— ახლა პატარძალი მორთეთ, უთხრა მქახალს მეჯვარემ. ადრიანათ უნდა წავიდეთ, თორემ დაგვაგვიანდება, შუაღამემდის ხომ არ ვაცდევინეფთ იმოდენა წვეულ ხალხსა.

პატარძლის ძებნა დაიწყეს, მაგრამ სად არის პატარძალი. სათონეში გაწეწილი სკივრი, რომ ნახეს საშინელი წივილ-კივილი შეიქნა. მაყრებმა თავები ჩაღუნეს. მეფე გაშტერებული დარჩა. მარინემ ტირილი მორთო.

გლოვის ფერი მიიღო ქორწილისთვის მორთულმა დარბაზმა.

— მათამ მრავალი მოკითხვა, სიცილით შემოვიდა დათო ახალკაცი.

— როგორ? სად არის მათა? სად არის?

— განთიადის მაშინათი ქალაქს თავი დაგიკარით ლექსოთი.

— მართლა, მართლა?

— მართლა! გაგიფრინდათ პატარძალი. დათომ დიდ დოქს წამოავლო ხელი და დაილოცა: ეს მათასი და ლექსუას შეუღლების სადღეგრძელო იყოს, ურა...

—

მაყრები და მეფე კარში გაეიდნენ.

— ბიჭო, უთხრა ერთმა მაყრებთაგანმა მეფეს,—ეხლა ხომ თავი მოგეჭრა, ცარიელი რომ მიხვიდე სახლში?

— ცარიელი კიდევ არაფერი, კაცო, მაგრამ ხომ ოჯახი დაგექცა, რომ ამოდენა ხარჯმა ტყუილათ ჩაგიაროს.

— მაშ რა ვქნათ ბიჭო, ჰა, რა გვეშველება? აი დაიქცეს იმის ოჯახი ი, ვილაცაა ლექსუა ისა, ჰო!

ფეიქარი თავ ჩაღუნული დადიოდა კარებზე. მერე მივიდა მაყრებთან და უთხრა: დამნაშავე ვარ, შვილო, თქვენთან, მაგრამ რა გეეწყობა. ჩემი დანაშაული მევე უნდა გავასწორო. თქვენი ცარიელი გასტუმრება არ შეიძლება. მოდით ეს ჩემი პატარა გოგო ფეფუა წაიყვანეთ. თოთხმეტი წლისაა და რა უშავს.

— ჩემთვინ სულ ერთია ფეფუა იქნებოდა თუ მათუა, უპასუხა სასიძომ. მე მარტო შენი მოყვრობა მინდა, ღმერთმა ხომ იცის.

თოთხმეტი წლის გომბიო თმა გაწეწილი და ფეხშიშველა ფეფო პატარძლულათ მორთეს. იმის წივილ-კივილს ყური არავინ უგდო და უმანკო ბავშვი, მამის შეცოდების გასასწორებლათ, ქმარს გაატანეს...

ეკ. გაბაშვილისა.

ფელი, ამოალაგა იქიდამ ფულების დოკუმენტები მთელი თავის ქონებისა, წაუსვა თავფული და გადაეფარა. მაგრამ წარმოიდგინეთ ბედის წერა: ამ გვარ აბებისაგან ავათმყოფი მოარჩა, მაგრამ ქონება კი „ჩაულაპული“ დარჩა.

* * *

„ფიგაროს“ თანამშრომელი სწერს: „საკვირველია რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა გ-ს თანამედროვე ევროპის პოლიტიკაში.“

საფრანგეთში არის გამბეტა, გრევი, გალიფე.)

ინგლისში—გლადსტონი

გერმანიაში—გიდიომი (იმპერატორის სახელი

რუსეთში—გორჩაკოვი

საბერძნეთში—გიორგი

იტალიაში—გარიბალდი

ამერიკაში — გარფილდი, რომლის მეგობელს ჭქვიან გიტო.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—1)

დავითიანი

თხზულება

დავით გურამის-შვილისა

(მეოთხე მწერლობა)

სრული გამოცემა თვით აეტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული **გ. ზალიკაშვილისგან** პ. უმიკაშვილის რედაქტორობით.

ფასი ერთი მანეთი.

ისყიდება: თფილისში **გ. ჩარკვიანის** და **ბრიქეროვის** წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში. ხელაძის სტამბაში და ძუთაისს ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ვინც **ასს** წიგნს დაიბარებს თვით გამომცემლისგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ვინც **ორმოც-დასთს**—15%. **ადრესი**—სტამბა ხელაძისა. (5—5)

მიწა იყიდება იმ ალაგას, სადაც აპირებენ ხიდის აშენებას, 18 მ., 20 მ., 22 მ., და 24 მ. კვ. საჟ. მსურველმა იკითხოს ინგლისის მაღაზიაში. იქვე იყიდება ბალი 1,300 კვ. საჟ., მიხაილოვის ქუჩაზე 17 მან. კვ. საჟ. (10—6)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ძუთაისს **გერარდის** წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

თაიგული

შედგენილი და გამოცემული **ილია ჭუჭანიასგან.** შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჯ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩიტოლი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გაგლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი ძოგლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარგვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

ცენტრალ-წიგნის მაღაზიაში ბულვარზე და ბრიქეროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის უერზე, ბადის პირდაპირ:

ალექსანდრე

ჭავჭავაძის

ლექსები

ნაწილი პირველი.

ფასი ექვსი შაური.

იქვე ისყიდება:

ლექსნი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.

ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.

ძართული ანდაზები. ფასი ორი შაური.

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.

ბრიგოლ ლრბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.

დავითიანი (ბურამიანი), თქმული დავით ბურამისშვილისა. ფასი ერთი მანეთი.

ქაცია-ადამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი. (5—5)

ახლად მიღებული

დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფის ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. თოფები ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდამ 40 მ-მდის. აქვე ისყიდება პარუსინა ნახევარ ფასად და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.** (12—5)

ინგლისური ინგბერ შამპანიის ღვინო! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურჭელით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ინგლისის მაღაზიაში.** (10—1)

ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, ჰირველი მოკრეფილისა **ინგლისის** მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ეგეელგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტუვიოთ. (100—18)

ინგლისის მაღაზიაში

ოფის ყველ-ბეკვანი

ბაკ-ბან-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასხმობლად, ტუალეტის საბონი, დუხები და სხვ (100—11)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალერეაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი		ჩაის უველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	—	1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	—	1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	—	1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	—	2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	—	2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.	—	3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—22)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საუკეთესო ბარსობის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიკის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—87)

კანტორა

რუხაძის და

კაკაბაძისა

ვაცნობებთ პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდგან გაღებულ ჩვენ მიერ **ქ. ფოთს კომისიონი კანტორაშიდ** ლუკა **რუხაძის** მაღაზიაშიდვე ეღებულობთ შრომას მსურველის მოთხოვნილებით ყოველ გვარ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისაა ნაკლები კომისიით.

კომისიის საქმეებს აწარმოებს **მოსე დავითისძე კაკაბაძე,** რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა.

(6—6) **ლ. რუხაძე.**

ბრიქეროვის წიგნის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ) და ბ-ნი **იოანნისიანთან** (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატური — — — 10 კ.

ახლად მიღებულია

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კ. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—6)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოხებისა, ჩაიხიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საბონისა, შჩო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (ბეეჩიელი კლუბიანი ზეთისა) და სხვ. საუკეთესო მაკინტოშის მოსასურვებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეკერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩუღლებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაჭანა გიარები. (100—3)

ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვის

კერძო რეალურ სასწავლებელში,

(თბილისში, ბარონის ქუჩაზე სახლი № 10, სადაც წინეთ ინტენდანტსტვო იმყოფებოდა). დამატებითი და მისაღები ეგზამენიები დაიწყება 20 მარტიამობისთვიდამ, სწავლა—1 ენკენისთვიდამ. (3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Іюля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი